

არამერქნული ტყის პროდუქტები

რა არის არამერქნული ტყის პროდუქტი?

ტყის არამერქნულ პროდუქტები მოიცავს ტყეში არსებულ ყველა სახის ბიოლოგიურ პროდუქტს გარდა ხის მერქნის.



არამერქნული ტყის პროდუქტებს განეკუთვნება, ყველა სახის სამკურნალო სამედიცინო და საკვები მცენარეები და საკვები მცენარეები, როგორცაა: *კოჩხური, თხილი, შინდი, კუნელი, კომში, ლედვი, კაკალი, წყავი, მაჟალო, ზღმარტლი, თუთა, ტყემალი, კვრინჩხი, ბროწეული, პანტა, ნუში, ასკილი, ყოლო, მოცხარი, უნაბი, მოცვი, მაყვალი, პანტა, ჯონჯოლი, ზამბუკი, სატაცური, დეკა, პანტა, სოკო, ასევე არამერქნული ტყის პროდუქტებში შედის ფიჩხი, ქერქი, ნეშომპალა, გირჩი, ტყის მიწა, ტორფი, ფუტკარი და სხვა.*



საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ტყეებში უხვადაა გავრცელებული სხვა და სხვა სახის არამერქნული ტყის მცენარეული პროდუქტები რომლის ხარისხი, სარგებლიანობა და გემური მაჩვენებლები ძალზე მაღალია. სულ საქართველოს ტყეებში მოიპოვება 2000-ზე მეტი სახეობის არამერქნული ტყის პროდუქტი.

როგორ გამოიყენება არამერქნული ტყის პროდუქტები?

არამერქნული ტყის პროდუქტები გამოიყენება საკვებად, საკვების დანამატად, კოსმეტიკაში, ფარმაცოლოგიაში, მეცხოველეობის საკვების დანამატად, სხვადასხვა სახის ხელთნაკეთობების და საწვავის დასამზადებლად.

არამერქნული ტყის პროდუქტებისგან შეიძლება დამზადდეს: *ჩირი, წვენი, მურაბა, ჯემი, ლუდი, ბურაბი, ზეთი, წნილები, ეთერზეთი, სამკურნალო საშუალებები, არომატიზირებული ჩაი,*



სარეალიზაციო ბაზრები

ამჟამად საქართველოში არამერქნულ ტყის პროდუქტებს სხვადასხვა ფორმით მოიხმარს და ამუშავებს 23 კომპანია და სავაჭრო ქსელი. მათი საშუალო წლიური მოთხოვნილება აღნიშნულ პროდუქტებზე შეადგენს 1500-2000 ტონას.

დიდი მოთხოვნილებაა არამერქნულ ტყის პროდუქტებზე ევროპაში, ამერიკაში და აზიაში. არამერქნული ტყის პროდუქტების საშუალო წლიური ბრუნვა ევროპაში შეადგენს 15 მილიარდ ევროს, აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ეს ბაზარი იზრდება 10-15%-ით. არამერქნული ტყის პროდუქტების დიდი მომხმარებლები არიან დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, სკანდინავიის ქვეყნები, თურქეთი.

ეკონომიკური სარგებლიანობა

არამერქნული ტყის პროდუქტების შეგროვების, მოშენების, გადამამუშავების, შენახვის და რეალიზაციის მდგრადი სისტემის შექმნა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საქართველოს სასოფლო რეგიონების განსაკუთრებით მთიან რეგიონებში სოციალურ და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში და სიღარიბის დაძლევაში.



სოფლად თემა
განვითარების სააგენტო